ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №756689

ნომერი: AR1139611

თარიღი : 17.06.2013

გაცემის თარიღი : 24.06.2013

გაცნობის თარიღი : 28.10.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი , მეურნეობის ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სალიჰ სელმან აპაიდინ პ/ნ 01495000263
- გოძიაშვილის ქ N27ა

ორგანიზაცია:
- ფერმო ფენსი კოდი: 404856107

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-

გადაწყვეტილება

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: #01.72.14.006.278) მისასვლელი გზის მოწყობა თქვენს მიერ წარმოდგენილი სქემის მიხედვით, არქიტექტურის სამსახურს არ მიაჩნია შესაძლებლად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას, რომელზეც დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1). გარდა ამისა, რელიეფის სირთულიდან გამომდინარე შესაძლოა შეიზღუდოს ავტომობილების მოძრაობა.

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) – წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: (25.11.2011 N 12-55)

აქვე გაცნობებთ, რომ მიმდებარე ტერიტორიებისთვის სამსახურის მიერ გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი (გრგ) დავალება (09.08.10 წელს #1177 ბრძანებით), რომლითაც შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, აღნიშნულის თანახმად, შესაძლებელია თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან მოეწყოს მისასვლელი გზა, ვინაიდან, შეთანხმებული გრგ–ს პროექტში, მიწის ნაკვეთი #01.72.14.006.548 დატვირთულია სერვიტუტით (გზის მოწყობის მიზნით). იქიდან გამომდინარე, რომ დღეის მდგომარეობით, მოცემული მიწის ნაკვეთი, არ არის სერვიტუტით დატვირთული, შესაბამისი თანხმობის მოპოვების, შემდგომ შესაძლებელი გახდება ზემოაღნიშნულის განხორციელება (გზის მოწყობა, მიწის ნაკვეთის: #01.72.14.006.548 გავლით).

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.